განკარგულება:**გ-49. 49242439**
თარიღი:**30/08/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ ანგარიში 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

ანგარიში

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებაში“ 2024 წლის I-II კვარტალში ირიცხებოდა 60 საშტატო ერთეული; აქედან ადმინისტრაციული აპარატის 24 საშტატო ერთეული, მთავარი მწვრთნელი -1; უფროსი მწვრთნელი-7; წამყვანი მწვრთნელ-კოორდინატორი - 1; უფროსი მწვრთნელ-კოორდინატორი -2 ; მწვრთნელი - 24; ფიზ-მომზადების მწვრთნელი –1. ორგანიზაციაში მოწვეულია ხელშეკრულებით 30 მოთამაშე მორაგბე სპორტსმენი და 10 ხელბურთელი სპორტსმენი და 3 შტატგარეშე მწვრთნელი. სპორტული კლუბების გაერთიანებაში ფუნქციონირებს 4 კლუბი: ხელბურთის, ფრენბურთის, სარაგბო და ფალავანთა კლუბი; ასევე ფუნქციონირებს კალათბურთის, მძლეოსნობის, მკლავჭიდის, კრივის, ქართული ჭიდაობის, ძალოსნობის, ფარიკაობის, მაგიდის ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ჭადრაკის და ნიჩბოსნობის სექციები. სპორტულ კლუბებში და სექციებში მომეცადინე სპორტსმენთა რაოდენობა ითვლის 616 სპორტსმენს.

სპორტული საწვრთნელო მეცადინეობები ტარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა დარბაზებსა და სპორტულ მოედნებზე, კერძოდ:

შანიძის ქ. #1 -ში მდებარე დარბაზი - ბ/რ ჭიდაობა, ძიუდო, ქართული ჭიდაობა.

სპორტის სასახლე: - კალათბურთი, ხელბურთი, მკლავჭიდი, კრივი, ჭადრაკი, ფრენბურთი, ძალოსნობა.

#2 საჯარო სკოლა - მძლეოსნობა, რაგბის ერთი ჯგუფი

მაღლაკის # 1 საჯარო სკოლა - ფრენბურთი

საყულიის საჯარო სკოლა - ძიუდო

სასულიერო გიმნაზია - მაგიდის ჩოგბურთი

გეგუთის საჯარო სკოლაში - ფრენბურთი

ქვედა ქვიტირში - ტანვარჯიში

მეოთხე საჯარო სკოლა – ფარიკაობა

სოფელ გუმათში – ნიჩბოსნობა

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ 2024 წლის I-II კვარტალში ბიუჯეტის გეგმით გამოყოფილი იყო: 1. სუბსიდია 800657 ლარი. 2. საკუთარი სახსრები 175250 ლარი. 3. არაფინანსური აქტივები 3000ლარი

ბიუჯეტის ცალკეული მუხლების მიხედვით გეგმის შესრულება არის შემდეგი:

1. თანამდებობრივი სარგო გეგმა - 216492 ლარი, ფაქტიურად 215027 ლარი;
2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 528998 ლარი, ფაქტიურად 409721 ლარი;
3. მივლინება ქვეყნის შიგნით გეგმა - 19000 ლარი, ფაქტიურად 18742 ლარი;
4. საკანცელარიო გეგმით - 1100 ლარი, ფაქტიურად 292ლარი;
5. კატრიჯის შეძენა დატუმბვის ხარჯი გეგმა - 400 ლარი, ფაქტიურად 400ლარი;
6. საოფისე ავეჯი გეგმა – 800 ლარი,
7. რბილი ავეჯი გეგმა – 700 ლარი,
8. სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯი გეგმა - 9050 ლარი, ფაქტიურად 6245 ლარი;
9. ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი გეგმა - 1500 ლარი,
10. რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი გეგმა - 1100ლარი;
11. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი გეგმა – 1000ლარი;
12. ადგილობრივი ტელეფონი და ინტერნეტი გეგმა - 1961 ლ. ფაქტიურად 1527ლ;
13. კომუნალური მომსახურება გეგმა - 13350 ლარი, ფაქტიურად 8699ლარი;
14. კვების ხარჯი გეგმა 3600ლარი, ფაქტი 3600ლარი;
15. სამედიცინო ხარჯი გეგმა - 6900ლარი, ფაქტიური 4245ლარი;
16. რბილი ინვენტარი და უნიფორმა გეგმა - 6850 ლარი, ფაქტიურად 6685ლარი;
17. საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი გეგმა - 5760ლარი, ფაქტიურად 1939ლარი;
18. მიმდინარე რემონტის ხარჯი გეგმა - 4000 ლარი,
19. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი გეგმა - 21000 ლარი, ფაქტიურად 20313ლარი;
20. კადრების მომზადება – გადამზადების ხარჯი გეგმა 1000ლარი;
21. სპორტული ღონისძიებების ხარჯი გეგმა - 109020 ლარი, ფაქტიური 108949 ლარი;
22. საწევრო ფედერაციებში (ფედერაცია) გეგმა - 1000 ლარი, ფაქტიურად 960 ლარი;
23. ლიცენზიები (ფედერაცია) გეგმა - 1000 ლარი, ფაქტიურად 860 ლარი;
24. საქმის წარმოების მომსახურეობა გეგმა 980 ლარი, ფაქტიურად 273 ლარი;
25. სპორტსმენთა საწვრთნელი შეკრება გეგმა - 6000 ლარი, ფაქტი 5280ლარი;
26. ტენდერის ხარჯი გეგმა - 100 ლარი, ფაქტი 50 ლარი;
27. ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება გეგმა – 2200, ფაქტი 2200ლარი;
28. სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოები გეგმით - 1200 ლარი; ფაქტი 480 ლარი;
29. სხვადასხვა საამშენებლო-სარემონტო მასალების შეძენა გეგმით - 1200ლ,
30. საიჯარო ქირა – გეგმა 1196ლარი
31. წარმატებული სპორტსმენების ჯილდო – გეგმა 2200 ლარი, ფაქტი 2200ლარი;
32. სპორტული ღონისძიებები (საკუთარი სახსრები) – გეგმა 4250 ლარი,
33. გადასახადები (საკუთარი სახსრები) – გეგმა 1000ლარი,

არაფინანსური აქტივები:

34. პრინტერი, სკანერი და ასლგადამღები გეგმა – 1700 ლარი;
35. ვიდეო – აუდიო აპარატურის შეძენა გეგმა 1300 ლარი;

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებამ“ სუბსიდიის გარდა მიიღო სხვა შემოსავალიც, სპორტის სასახლეში არსებული სპორტული მოედნის გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა 2024 წელის I-II კვარტალში შეადგინა 5897ლარი. რაგბის ფედერაციიდან ჩამოირიცხა 200000ლარი.

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ სპორტსმენებმა 2024 წლის I-II კვარტალში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტურნირებსა და საქართველოს ჩემპიონატებში. შედეგების მიხედვით ჩვენმა სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

სარაგბო კლუბი ,,დინოზავრი“.

საქართველოს ჩემპიონატი, I ლიგა.

4 თებერვალი. არმაზი-დინოზავრი 8-44

9 თებერვალი. დინოზავრი-ჭიათურა 47-38

2 მარტი. დინოზავრი-ბაგრატი 22-5

23 მარტი. დინოზავრი-გორი 22-18.

ხელბურთი.

2 მარტი. თბილისი. ეროვნული ჩემპიონატი.

წყალტუბო - აჭარა 47-46

20-21 აპრილი. თბილისი. ეროვნული ჩემპიონატი.

პრომეთე - სამტრედია 35-33

პრომეთე - სტუ-პეგასი 32-30

22 თებერვალი. თბილისი. გოგონათა ახალგაზრდული ჩემპიონატი.

წყალტუბო-მართვე 16-8

4 აპრილი.თბილისი. გოგონათა ახალგაზრდული ჩემპიონატი.

წყალტუბო-გორი 10-0

4-5 აპრილი. სენაკი. ვაჟთა ახალგაზრდული ჩემპიონატი

წყალტუბო-ქუთაისი 29-9

წყალტუბო-ფოთი 25-17

27 აპრილი. თბილისი. ვაჟთა ახალგაზრდული ჩემპიონატი.

გორი - პრომეთე 17-21

10-11 მაისი. თბილისი. ვაჟთა ახალგაზრდული ჩემპიონატი.

პრომეთე - შევარდენი 21-15

ფინალი: პრომეთე - ქარიშხალა 25-21

წყალტუბოს გუნდი ,,პრომეთე" გახდა საქართველოს ჩემპიონი 2010-2011 წ.წ.

ძალოსნობა.

7-10 მარტი. ზუგდიდის ღია პირველობა.

I ადგილი - საბა კუჭავა 49კგ

I ადგილი - გიორგი ჯოხაძე 61კგ

I ადგილი - ზურაბ იოსელიანი 89კგ

2-5 აპრილი. თბილისი. თბილისის ღია პირველობა.

I ადგილი - გიორგი ჯოხაძე

II ადგილი - ზურაბ იოსელიანი

II ადგილი - სალომე კუჭავა.

III ადგილი - ანდრია ლილუაშვილი

27-30 აპრილი. თბილისი. საქართველოს ჩემპიონატი U-17.

I ადგილი - ჯაბა ტყეშელაშვილი 102 კგ

26 მაისი.პერუ. მსოფლიოს ჩემპიონატი U-17.

II ადგილი - ჯაბა ტყეშელაშვილი 102კგ.

23 ივნისი.სალონიკი(საბერძნეთი) ევროპის ჩემპიონატი U-15.

I ადგილი - ჯაბა ტყეშელაშვილი 102კგ

ძიუდო.

18-19 იანვარი. თბილისი. საქართველოს ჩემპიონატი.

III ადგილი - ნანა გულბიანი

1-4 თებერვალი. თბილისი. სალიცენზიო შეჯიბრება სარეიტინგო ტურნირებისათვის.

თაზო შონვაძე, ნიკა ჯამბურიძე, გიორგი ონიანი, საბა ლიპარტელიანი, გურამი კვასტიანი, დავითი ლიპარტელიანი.

აღნიშნულმა სპორტსმენებმა მოიპოვეს სარეიტინგო ტურნირების ლიცენზია.

7-10 თებერვალი. თბილისი. საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო.

ანდრია ამბროლიანი, დავით ლიპარტელიანი, გეგი ნიჟარაძე, ნიკა მამარდაშვილი,კახი ტუსკაძე, ზვიად გულბიანი.

აღნიშნულმა სპორტსმენებმა მოიპოვეს საქრთველოს ჩემპიონატის ლიცენზია.

28-29 მარტი. თბილისი. ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის საკლუბო ჩემპიონატი.

წყალტუბოს გუნდი გავიდა ოქროს ლიგაში.

11 აპრილი. თბილისი. საქართველოს ჩემპიონატი სამბოში.

I ადგილი - ლუკა შვანგირაძე 81კგ

I ადგილი - ლუკა ომანაძე 60კგ.

11 მაისი.სერბეთი. სამბოს ევროპის ჩემპიონატი.

III ადგილი - ლუკა შვანგირაძე 81კგ.

15-16 მაისი. თბილისი. ა.ჭრიკიშვილის სახელობის საკლუბო ჩემპიონატი.

წყალტუბოს კლუბი გავიდა ოქროს ლიგაში.

5-9 ივნისი. სარაევო(ბოსნია). ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატი.

III ადგილი - იასონ ნემსაძე +100კგ

20-23 ივნისი.თბილისი.საქართველოს პირველობა ახალგაზრდებში.

III ადგილი - საბა გველესიანი.

კრივი.

2-4 თებერვალი. ბათუმი. აჭარის ღია პირველობა.

I ადგილი - მურთაზ კირთაძე 46 კგ.

I ადგილი - გიგლა ფირცხალავა 60 კგ.

29 თებერვალი. ზესტაფონი.საქართველოს ჩემპიონატი

I ადგილი - ლუკა გაზდელიანი 70კგ.

15-19 მაისი. ფოთი. ზურაბ სარსანიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი.

III ადგილი - ლუკა გაზდელიანი 70კგ

18-22 ივნისი. ბათუმი. ირაკლი აბაშიძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი.

III ადგილი - ფიქრია ბენდელიანი.

ჭადრაკი.

9-17 მარტი. ქუთაისი. იმერეთის ღია პირველობა.

I ადგილი - ლუკა ქუთათელაძე.

II ადგილი - გაბრიელ არიგოვი.

III ადგილი - მერაბ გურეშიძე/

მკლავჭიდი.

8-10 მარტი.თბილისის ღია პირველობა.

I ადგილი - ლაშა ედიბერიძე. 45 კგ

II ადგილი - ნიკა კვიცარიძე 60 კგ

II ადგილი - შალვა ჩაკვეტაძე 65კგ

I ადგილი - გიგა ბერაძე +90 კგ

15-17 მარტი. თბილისი. ევროპის ჩემპიონატის შეხვედრები.

III ადგილი - გიგა ბერაძე (მარცხენა მკლავი) 110 კგ.

5 მაისი. სლოვაკეთი. ევროპის ჩემპიონატი.

I ადგილი - ქრისტინე ჟორჟოლიანი 60კგ.

15 ივნისი. წყალტუბო. მკლავჭიდის რეგიონალური ტურნირი.

I ადგილი - ნიკოლოზ კვიცარიძე (მარჯვენა მკლავი) 60კგ

I ადგილი - გიგა ბერაძე (მარცხენა მკლავი) +90კგ

I ადგილი - შალვა ჩაკვეტაძე (მარჯვენა-მარცხენა მკლავი) 65კგ.

ქართული ჭიდაობა.

4 აპრილი. თბილისი. საქართველოს ჩემპიონატი.

I ადგილი - ლუკა ქუთათელაძე 73კგ.

II ადგილი - გიორგი ქაშიბაძე +90კგ.

28-29 ივნისი.ახმეტა. საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

II ადგილი - ლუკა შვანგირაძე. 90კგ

III ადგილი - ლუკა ომანაძე. 60კგ

ფარიკაობა.

17-18 მაისი. თბილისი. აფხაზეთის ღია პირველობა.

III ადგილი - ეკატერინე გაზდელიანი.

28 ივნისი. ზესტაფონი. ზესტაფონის ღია პირველობა რაპირაში.

III ადგილი - ეკატერინე გაზდელიანი

III ადგილი - ანასტასია გაზდელიანი

ბ/რ ჭიდაობა.

28-30 ივნისი. ურეკი. ბადრი პატარკაციშვილის სპორტულ-სანახაობითი ფესტივალი.

III ადგილი - მიხეილ ქაროსანიძე

10-12 ივნისი.ზესტაფონი. რესპუბლიკური ტურნირი.

III ადგილი - ლუკა შალამბერიძე

III ადგილი - ნიკოლოზ თევდორაძე

9 ივნისი. ბუდაპეშტი (უნგრეთი). სარეიტინგო ტურნირი.

II ადგილი - იაკობ ქაჯაია 130კგ.

31 მაისი-2 ივნისი. ჭიათურა. ჭიათურის მერიის თასი.

III ადგილი - დემური კირტავა

III ადგილი - თევდორე ჭონიშვილი

25-26 მაისი.ქუთაისი. აკაკი ნუცუბიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი.

I ადგილი - დემური კირტავა 52კგ

I ადგილი - ნიკოლოზ თევდორაძე 47კგ

II ადგილი - მერაბ ფორჩხიძე 85 კგ

III ადგილი - თევდორე ჭონიშვილი 66კგ

III ადგილი - გიორგი შვანგირაძე 60კგ

III ადგილი - ავთანდილ ნუცუბიძე 32კგ

კალათბურთი.

28 მაისი. ქუთაისი. ჯუნიორ საქართველო.

წყალტუბო - ვანი 37-26

წყალტუბო - აია2 39-33

25 ივნისი. თბილისი. ჯუნიორ საქართველო.

წყალტუბო - საბურთალო 39-35

მძლეოსნობა

12 ივნისი. წყალტუბო. გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.

აღნიშნულ ტურნირზე მონაწილეობდა 45-45 გოგო-ბიჭი.

I ადგილი - მარიამ სვანიძე - 60 მეტრზე გარბენი.

I ადგილი - მარიამ სვანიძე - ამანათრბენი.

I ადგილი - ნატალი ქარქაშაძე - ბირთვის კვრა.

I ადგილი - თეკლა ჯანელიძე - სიგრძეზე ხტომა.

II ადგილი - თეკლა ჯანელიძე - 60 მეტრზე გარბენი.

II ადგილი - ნატალი ქარქაშაძე - სიგრძეზე ხტომა.